



ნ.ს. ჯ. ლოლუასი

— ღია მესწავლეებო! გია კომბინატორობა-
ნანს თამაშობს: მიწაში მარხავს სათამაშოებს!



№ 3 (1421) თებერვალი 1974

ნიუსი

გამოცემის 51-ე წელი ფასი 20 კპბ.



— ამდენი პაგივი სიცოცხლეში რომ ეცათ იმ უბედურისათვის, რა მოკლავდა!



გაუთვალისწინებელი თოვლი!



ძმაკაცს წავყევი სატირალს,—
ბაბუა გარდაეცვალა!
წასვლა არ მსურდა ნამდვილად,
არც საქმეებოდ მეცალა.

ბევრი ვიტირეთ, ვიბდავლეთ,
დავერძალეთ დიდის ვაებით,
შემდეგ სულაც არ ვინაღვლეთ,
ქეიფში ისე ჩავეებით.

ვიცოდი წესი სუფრისა,
თავი არ მიჩნდა „ხამადა“,
როგორც მგომბელი უფლისა,
ისეთი შეგვხვდა თამადა:

თვალს ჩაუკრავდა ძმაბიჭებს,
თან გვერდით ეჯდა დამქაში,
დაღევა არ გსურს? დაგიჭერს,
ძალად ჩაგასხამს ხახაში!

— ღვინო არ მოგწონს, ყმაწვილო?
სეფა გაქვს გადახურული?
იცოდე არ გამაწბილო,
მეგრული ხარ თუ გურული?

თეფში, ყველი და მწვანილი,
ყველაფერია უხვად!
ღვინის სმა, პური, მარილი
აწ განსვენებულს უყვარდა!

...სუფრა „დახურეს“ მჯიღებმა.
როცა შეისვა ყანწები,
გადავრჩი, თუმცა გამომყვა
„პლაში“, ტომატში ნაწები.

ახლა ბაბუა მეცა მყავს, —
ნაფირალ-ნაყაჩალარი,
თუმცა არა მაქვს ქონება,
არც ფული თავზე საყარი...

ან კი, რომა ვთქვით მართალი,
მასაც ქონება რა დარჩა?! —
ვადამომძვრალი ხანჯალი
და დაქანგული დამბაჩა...

როცა მოკვდება, ვისესხებ
ფულს, ალბათ, სადმე პროცენტით,
ყველას გაპატიჟებთ! მანამდე,
მჯერა, არ დაიხოცებით!



მობრძანდით, სეფა გავშალოთ,
ღვინო ვსვათ თავგამეტებით,
მერე, იცოცხლეთ, დაგშალოთ
მუშტებით, ქვებით, კეტებით!..

ანწორ კუბალაძე

ხათრის გულისთვის!

თქვიანობა დილხნით, ამ ჩვიანო,
ერთ დროს!
აღრე დაწვა უკუნი თვალებს!..
ხათრის გულისთვის დავლიე, ძმებო!
ხათრის გულისთვის გარდავიცვალე!

დავით ნოზაძე



— მანქანა ვერ ავამუშავე, „სეკრეცები“ მოუპარავთ!

— ეს ისეთი ინტრიგანია, მანქანა-ში წყალი რომ ჩაუვიდეს, სახლმ-მკრთველს უჩივლებს!



ოპერაცია I. საავადმყოფო. ღამის 2 საათი. მორიგი ძირუბი პატარას ეთამაშება რევისტრატორს

ქირ.: შახ! ჩანგალი! ახლა კი გავამზავრე შენი ტურა პროექტურა-ში! ხი, ხი, ხი!

რევისტრ.: ეჭ, ნეტა, მარტო ჭადრაკის ფიგურებს ავზავნიდე იქ!

ქირ.: დამიწყე, ჰო, კბენა! რას იბოლმები, ძმაო?! შენს მეტს არავინ წაუგია? ეჭ, ერთი შენი თავი მომცა საოპერაციო მაგიდაზე და შამათი მერე ნახე შენი! (შე მო რ ბ ის მო რ ი გ ე)

მორიგე: ვარლამ დანიელოვიჩ, ავადმყოფი მოიტანეს!..

ქირ.: რაო, რა მინდაო ამ შუალამისას?

მორიგე: უგრძობლადაა, კბილებს აკრაქუნებს მხოლოდ...!

ქირ.: მეტი გზა არა გაქვს, უნდა მოკლა!..

მორ.: უოპერაციოდ?! ცოდვია, ბატონო, პატროსანი კაცი ჩანს...!

ქირ.: შენ არ გეუბნები!.. ავგრ ბაიკი შეეწირე და... მღაა, ესე იგი კბილებს აკრაქუნებს, არა?! ჭია ჰყავს, ვითომ?..

მორ.: გაიგებ?! ახლა ყველა თავის ჭიას ახარებს... ისე, მაგდენს რომ ვხვდებოდე, კერძო პრაქტიკას დავიწყებდი, ან დისერტაციას დავიცავდი, შემდეგ — სალოქტოროს, შემდეგ...!

ქირ.: თუ ძმა ხარ, სანამ წვერ-კორესპონდენტობამდე ახვილოდე, გვარდი ერთი, შეაჯანჯღარეთ ის ავადმყოფი პატარა! იქნებ, გონს მოვიდეს და ჰკითხეთ, რა ტკივა!..

მორ. (გარბის და ისევე შემო რ ბ ის): შევაჯანჯღარეთ, კიდევ ვუპყვინეთ და ახლა ხრიალიც დაიწყოს!.. ისე, კი მეცნობა ეგ კაცი! ააა, გამახსენდა!.. ქორწილში მოვხვდით ერთად და, მგონი, ბრმა ნაწლავს უჩიოდა...!

ქირ.: ავაშენა ღმერთმა! მოამზადეთ საოპერაციოდ!

ოპერაცია II. საოპერაციო

ქირ. (შუბლზე ხელს შემოიკრავს. გაჯავრებულია): ტყუილად გამაჭრევიანა თავი ამ უსინდისომ! ბრმა ნაწლავი ამოჭრილი ჰქონია! ეჭ, რა მოსაგები პარტია გადავდე?!

ოპერაცია III. პალატა

ქირ. (მიმართავს უკვე გონს მოსულ ავადმყოფს): რავა ხარ, ბიჭო?!

ავადმყ.: ვაიბე, სადა ვარ?!

ქირ.: სად და, მონტე-კარლოს კაზინოში! ვერ გვხვდავ ამდენ ექიმებს? ისე, კი იყავი ღირსი, რომ არ გამეკერე, მარა!.. ეჭ, ჰუმანიზმს რა ვუთხრა მე!

ავადმყ.: ტიტუ! მართლა ხომ არ გამჭერით, ექიმო?! ვაიბე, ცოლ-შვილო!

სახლი კაბინაშვილი

გმადლობთ, ექიმო!

ბრაგინა 8 ოპერაციის

ქირ.: გაგჭერი, თვარა, ბრმა ნაწლავი არ დამხვედროდა იქ...!

ავადმყ. (ტირილით): კაცო, ახლა გიცანი! შენ არ ამოჭერი შარშან ბრმა ნაწლავი? არ გახსოვს?!

ქირ.: მოიცა, მოიცა!.. შეწირული არ ხარ შენ?.. სკლეროზი! აბა, რა გტკივა, კაცო, აღარ იტყვი? წამივიდა სული!

ავადმყ.: რა და... ბავშვს ვათამაშებდი, პინგ-პონგის ბურთი ჩავიდე პირში, ფოკუს-მოკუს-მეთქი და გადამცდა. მერე წამივიდა გული და...!


ქირ.: შევარცხვინე შენი ვაჟკაცობა!.. პინგ-პონგის კი არა, ბილიარდის ბურთი რომ გადაგეყლაპა, გული მაინც არ უნდა წაგსვლოდა. ფაქირები ალს ყლაპავენ და... ეჭ, ტრუს ტი! ვოტ, კტო!

ავადმყ.: რა დროს ფაქირები და იოგები, ექიმო?! შენ ეს მითხარი... პინგ-პონგის ბურთი?!

ქირ.: ხა, ხა, ხა... შენ ხიზილალა არ მომთხოვო, თორემ, კარტოფილის მეტი რა გვაქვს საავადმყოფოში!.. ჰოდა, შეგაჭმევთ ერთ ხუთ ულუფას და... (ყურში დიმილით უჩიურჩულებს რაღაცას)... და ხვალ დილით ხელში დაგაჭერინებთ იმ შენს დამღუპველს! ისე, ჩინურია თუ ვიეტნამური?.. ერთი თვეა, მეხვეწება ბავშვი და ვერსად ვუშოვე-იცოდე, არავის მისცე, თვარა ჩამივარდები კიდევ ხელში და...!

ავადმყ.: შენ გენაცვალე, ექიმო! შენგან ისეთი პატივანაცემი ვარ, მაგას როგორ დაგამადლო! გმადლობთ, უღრმესად გმადლობთ!

ქირ.: ნე სტოიტ!.. ეგაა ჩვენი ხელობა, მეტი რა გვავალია, შე კაცო! წავედი ახლა, დავამთავრებ ბარემ გადადებულ პარტიას!..



— შენს მეზობელს არ დაანახვო მოკარული რომ მოგაქვს, კაპიოსანი კახია და ნაშოსცდება საღვე...

„ჩაის დღის“ გარდა — ნაბისმიერ დღეს

— ჩაი არა გვაქვს!
 — აბა, რა გავქვთ?
 — კაკაო, კოფე!..
 — კოფე ქართული არაა!..
 — მართალი ბრძანდებით!
 ჩვენ თურქული კოფე გვაქვს!
 — თურქული?
 — დიას, ბატონო! მოგართვათ?
 — მე ჩაი მინდა!
 — რას ჩააჯინდით ამ ჩაის? კაკაო უფრო ნოყიერია...
 — გამგე სადაა?
 — გამგე რად გინდათ, ბატონო? თქვენ ნუ ადუღდებით და ახლავე აგიღუღებთ ჩაის!..
 — რამდენ ხანში იქნება?
 — ნახევარ საათში... ოც წუთში...
 — მანამდე რა ვქნა?
 — მანამდე, ბატონო, კაკაოთი ან კოფეთი შეიქცით თავი!
 — დმერთო ჩემო! ისევ კაკაო! ეს ხომ საჩაივა?!
 — საჩაივ კია, მაგრამ წყლის თუხთუხით გეგმა არ შესრულდება!
 მომხმარებელი უკმაყოფილო წავიდა. დირექტორი კმა-

ყოფილი ადევნებდა თვალს ამ უთანასწორო პაექრობას:
 — რა უნდოდა?
 — ჩაი.
 — არ გამაგიჟო! ალბათ, მთვრალი იყო!
 — არ ეტყობოდა...
 — იქნებ სკლეროზი აქვს და ჩაის დღე ჰგონია დღეს. რა უთხარი?
 — ვუთხარი, აგიღუღებთ-მეთქი, მაგრამ არ მოიცადა. ჩაიზე ადრე, თვითონ ადუღდა. ვერ გამიგია, რამ შეაყვარა ეს ცხელი წყალი?
 — მოხუცებს უყვართ ჩაი.
 — არც ისე მოხუცია, მაგრამ, ეტყობა, ინტრიგანია. გინახავს ამისთანა? ერთხელაც იყო, ამასწინებზე...
 — მაშინ, მომილოცავს! მაგი ასე იოლად არ მოგცილდება, ჩანს, მაგრამაა მიჩვეული ჩაის სმას!
 — არაფერია, ან მივაჩვენე კაკაოს და კოფეს, ან გადავაჩვენე აქ სიარულს! მაგას თუ წყალი ვუთუხთუხე, კარგი დახლი დამიდგება!

გიგლა ბახტაძე


მოქალაქეთა განსჯის ნაბიჯები

გეგმატორის, კასპის, ვიათურის, ტყიბულის, ჩოხატაურის, ვანის, ონის, ხაზურის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, კობულეთის, ხულოს, ჭადის რაიონების მუკომალთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს!
 საქართველოს სსრ საავტომობილო გზათა მშენებლობის სამინისტროს!
 ასლი: საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს!

პატივცემულ ამხანაგებო! თავდაპირველად ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის! განა ღირდა, რომ თქვენი ყურადღება მომეწვიკა იმ წვრილმანი თუ მსხვილმანი საქმეებისათვის, რომელსაც თქვენ ემსახურებით? მაგრამ რას ვიზამ, მუშლივით დამესია წერილები, თხოვნა და ვედრება მიიზიდა ჩემი ყურთასმენა და შექმნილმა ვითარებამ თქვენდამი მოწოდებით განმაწყო.
 საქმე ის არის, რომ, ეს რამდენიმე ხანია, ზოგიერთ სოფელში უეცრად შეწყვიტეს მოძრაობა ხალხით გაქედობა ავტობუსებმა, მიადგეს ფეხი ფეხს გაქირ-გაწეული სახედრებივით და ადგილიდან აღარ იძვრიან. 1978 წელს გაუქმდა 118 მარშრუტი. დარჩა ას ათზე მეტი სოფელი უტრანსპორტოდ, ზოგიერთი უბანი უგაზეთოდ, ზოგიერთი ოჯახი უწერილოდ! აღარც მანქანების სიგნალების ხმა ისმის და აღარც მათი მძღოლების ომხიანი შეძახილი. ერთი სიტყვით, ზამთრის ამ საქეიფო პერიოდში შეწყდა მოძრაობა მძახლებსა და მოყვრებს, ნათლებსა და ნათლულებს შორის. ნათესაურ მისვლა-მოსვლას ვინა ჩივის? — სოფელს სოფელთან, სოფლებს ქალაქთან გაუჭირდა მისვლა. შენდლერწით დაწული კალათები და ჭაჯრცხილით ასხმული ცარიელი გოდრები დღეს პანაშვიდზე მისული ღვიძლებივით გაჭყურებენ სავტომობილო გზებს და, გამწარებულნი, გულში მჭიდს ირტყავენ. თოვლმა და ნამქერმა დაჭარა აქამდე მხიარული გზა-შარა. დაირღვა ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი და ზოგიერთი სოფელი გადაიქცა იმ დავიწყებულ სამოსახლოდ, სადაც დღემო კენტად თუ გაირბენს ზოგიერთი სატვირთო ავტომანქანა, რომლის ძარახე შემოქმდარი სოფლები თამბაქოს ფოთლებივით იფშვენტენ სიცივით აწითლებულ ყურებს.
 მე დიდხანს ვარკვევდი ამ უეცარი საგანგაშო მდგომარეობის მიზეზს. ზოგი ყველაფერს ავტოსატრანსპორტო საწარმოს აბრალდება — სოფლების ავტომარშრუტები გზათა მშენებლების გაფრთხილებისა და დროის მიცემის გარეშე მოიშორეს თავიდან და საქმავზე მეტად დაიზღვევენ თავიო! ზოგი ავტოტრეტების მიერ გამოცემულ ბრძანებებს ემდურებოდა — იმათ გავვიმეტეს, იმ ჩვენს ცოდვით სავსეებმაო! ზოგმა საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს 1978 წლის ბრძანებაც დამიღო წინ, მაგრამ მე ყველაფერი მაინც გზათა ცოდვამადლს მივაწერე და სწორედ მის შესახებ მინდა გითხრათ ორიოდ სიტყვა:
 თქვენზე ვერ ვიტყვი და ზოგიერთი კი მართლაც ავი დედინაცვალივით ეყურობა გზას: უუურადღებობით და უზ-

რუნველობით, მოუვლელივითა და გულგრილობით ზოგან გზები ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, სულიერს ვინა ჩივის, მასზე უსულოს გატარებაც კი საშიშია: ოღროლოდრო ადგილებზე, ტალახით სავსე ორმოები, აქლემის კუწივით დაგრებილი კორწოები, დანარაული ფერდობები (რომელთა ნაპირებზე ბეტონის კედლის ამოშენება ისე აინტერესებს ზოგიერთ სამშენებლო უბნის უფროსს, როგორც მე გრენლანდიაში ინდისხურმის მოსავალი!). ალბათ, უმეტესად, ამის წყალობაა, რომ სამგზავრო და საბარგო ავტომანქანები უმოწყალოდ ცვივიან წყლიან და უწყლო ხრამებში და წარამარა ისმის დაკაპიწებული მძღოლთა „აბა, აბა, პო!“ ზოგიერთ გზას დღესაც შავი ბაღდადივით აჩნია ნაშთი ძველი დიდებისა — აქა-იქ შემორჩენილი ნახაფაღტარი — და ისიც ისე მოჩანს მტკრისა და ტალახის ფონზე, როგორც დაგლეჯილ ჩოხა-ახალუხზე შემთხვევით გადარჩენილი საკინძე.
 ზოგიერთ მთის სოფელს — ჩვენი ქვეყნის მშვენიერსა და სილამაზეს — შემოაღწიწილი მიწების გამო დაეხშო კარი ბართან. ალბათ, უგზოობა იმის მიზეზიცაა, რომ, დღეს, კავკასიონის მთის ფერდობებზე მერცხლის ბუდესავით მიკრულ სოფლებში შემცირდა კომლთა რაოდენობა და აქაურ ზოგიერთ ახალგაზრდას თვალში დაუფლამდა ქალაქისკენ ცქერით. ამის გამოა, რომ ხშირად ვიმეორებ ამ ორმოციოდ წლის წინ ნათქვამ ილფისა და პეტროვის სიტყვებს, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა: **შენიმი მოსიარულეებს პატივი უნდა ვცეთ!**
 მე, როგორც ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელს, სულაც არ შემიტნავენება, რომ ჩვენს სოფლებში ცხენი და კამეჩი ისეთივე იშვიათობა გახდა, როგორც დიპლომატი — ლხინსა და ქორწილში. მაგრამ რას ვიზამთ, მეოცე საუკუნე მანქანების საუკუნეა და ლურჯა და ნიკორა ვერ გაეჭირება „გაზებს“ და „ზილებს“, „ვოლებს“ და „ჟიგულებს“. მაგრამ კამეჩი და ცხენი ისეთნაირად უნდა შეცვალოს 70 და 120 ცხენისძალიანმა მანქანებმა, რომ მათი გზა და ადგილი მთლიანად დაიკავონ და არა ხანგამოშვებით.
 კიდევ და კიდევ ბოდიშს ვიხდიო! იმედი მაქვს, ამ ბარათის წაკითხვის შემდეგ, ქულზე კაცს მოიხმობთ, ყველას თავისას დაავლებთ, უსულოსა თუ სულიერს აამოძრავებთ, დიდსა და პატარას აამედრებთ და გზებს ისეთ ფერ-ხორცზე მოიყვანთ, როგორც ეს თქვენს ღირსებასა და ჩვენს სოფლებს ეკადრებათ!

თქვენი ნიანგი



გულის გადანერგვის პიონერი, გამოჩენილი ქირურგი ქრისტეფორე ბერნარდი, იძულებულია დასტოვოს როდების რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და სამუშაოდ სხვა ქვეყანაში წავიდეს.

საქართველოს გაზეთებიდან
ინდექსი 76137

ნახ. პ. ლომიძისა



— ბაგონო ბერნარდ! რის გულინათვის სკოვებთ ჩვენს ქვეყანას?
 — ამ უგულო ქვეყანაში გულის ეჩივს არაფერი უსაქმება!